



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

15 ოქტომბერი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №212

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელვასერვისი“-სთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19⁵ (პრიმა) მუხლის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს მე-5 თავის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელვასერვისი“-ს სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი აღნაგობით, პირდაპირი განკარგვის წესით, 15 წლის ვადით, პრესის სარეალიზაციო ჯიხურის განთავსებისათვის, გადაეცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთში ე. თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4კვ.მ. მიწის ნაკვეთი, (სარეგისტრაციო ზონა 26, სექტორი 26, კვარტალი 48, ნაკვეთი 176, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი 882012875676, მომზადების თარიღი 24.09.2012წ.)

2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი